**საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტ**

**„ფაქტ-მეტრის"**

**სარედაქციო საბჭოს დებულება**

**თავი I**

**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.**

დებულება განსაზღვრავს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) პროექტ „ფაქტ-მეტრის“ სარედაქციო საბჭოს უფლებამოსილებას და სამართლებრივ სტატუსს.

**მუხლი 2.** სარედაქციო საბჭო წარმოადგენს პროექტ „ფაქტ-მეტრის“ ფარგლებში მოქმედ კოლეგიურ ორგანოს.

**მუხლი 3.**

საბჭო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს „ფაქტ-მეტრს“ და ვალდებულია მოქმედებდეს „ფაქტ-მეტრის“ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის/ხელმომწერის სტატუსით გათვალისწინებული პრინციპების, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით დადგენილი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

**თავი II**

**საბჭოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები**

**მუხლი 4**

საბჭოს საქმიანობის მიზანია სარედაქციო პოლიტიკა იყოს ობიექტური, დაბალანსებული, ეთიკური და მუდმივად ვითარდებოდეს პრიორიტეტებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და პროექტის საქმიანობა შეესაბამებოდეს „ფაქტ-მეტრისა“ და „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებაში წევრობით აღებულ ვალდებულებებს. საბჭო უზრუნველყოფს „ფაქტ-მეტრის“ პლატფორმის მუშაობას საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**მუხლი 5** საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

5.1 მუშაობის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მისი მუდმივი განვითარება;

მაისი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

5.2 მეთოდოლოგიის დარღვევის შემთხვევების დროული გამოვლენა და გადაჭრის უზრუნველყოფა;

**მუხლი 6** დასახული ამოცანების შესრულებისას საბჭო უფლებამოსილია:

6.1 განსაზღვროს სარედაქციო პოლიტიკა, მეთოდოლოგია, შეიმუშავოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გზები;

6.2 განიხილოს და პრევენციული ღონისძიებები დასახოს ობიექტური, დაბალანსებული და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების აღმოსაფხვრელად, მათ შორის განახორციელოს გამოქვეყნებული სტატიების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პერიოდული აუდიტი და გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შესწორების პოლიტიკა;

6.3 განიხილოს რედაქტორების მიერ დაყენებული პრობლემური საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

6.4 ახორციელებს ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტის შესახებ იდეების განხილვასა და შერჩევას;

6.5 განსაზღვროს „ფაქტ-მეტრის“ მუშაობის მეთოდოლოგია, შესწორების პოლიტიკის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობა;

6.6 განიხილოს „ფაქტ-მეტრის“ საიტზე გამოქვეყნებული სტატიების შესახებ შემოსული საჩივრები და მოსაზრებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ვერდიქტის შესწორების გადაწყვეტილება;

6.7 საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვროს და განახორციელოს აღსრულების მონიტორინგი.

## თავი III

## საბჭოს შემადგენლობა

**მუხლი 7**

7.1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროექტ „ფაქტ-მეტრის“ მთავარი რედაქტორი და ორი რედაქტორი;

7.2. საბჭოს თავმჯდომარეა „ფაქტ-მეტრის“ მთავარი რედაქტორი;

7.3. საბჭოზე გადაწყვეტილების მისაღებად თითოეული რედაქტორის ხმას აქვს თანაბარი წონა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

მაისი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

## თავი IV

## სარედაქციო საბჭოს დამოუკიდებლობა

**მუხლი 8**

სარედაქციო საბჭო „ფაქტ-მეტრის“ სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით, როგორც „საქართველოს რეფორმების ასოციაციის,“ ასევე მისი პარტნიორების, დონორების, დამფუძნებლებისგან თუ სხვა - ორგანიზაციასთან რაიმე ფორმით აფილირებული თუ არააფილირებული მესამე პირებისაგან, მათ შორის პოლიტიკური სუბიექტებისგან, საჯარო ფიგურებისგან და ა.შ.

**მუხლი 9**

დაუშვებელია ნებისმიერი პირის მხრიდან სარედაქციო საბჭოს საქმიანობაში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა, ნებისმიერი ფორმით.

## თავი V

## დასკვნითი დებულება

**მუხლი 10**

საბჭოს დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

**მუხლი 11**

იმ შემთხვევაში, როდესაც „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ მმართველი რგოლის წარმომადგენელი ითავსებს ფაქტ-მეტრის სარედაქციო საბჭოს წევრობასაც, ის სარედაქციო საბჭოში ხელმძღვანელობს მხოლოდ ფაქტ-მეტრის სარედაქციო დამოუკიდებლობის ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც საკითხი ინტერესთა კონფლიქტს იწვევს მის თანამდებობებს შორის, სარედაქციო საბჭოს წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით.

**მუხლი 12**

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული საბჭოს მიერ.

მაისი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო